

კონცეფცია

როინ სურმანიძე

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა და განვითარება მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში დემოკრატიის ინსტიტუციური განვითარებისა და თავისუფალი მედიაგრემოს შექმნისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი და რთულ დიფერენცირებული საზოგადოებისათვის, ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოხატავდეს მაყურებელთა ნებისმიერი სეგმენტის ინტერესებს, აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის სწორი განვითარება დემოკრატიული სახელმწიფოს მონაპოვარი და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი გრანტია.

აუცილებელია კომერციული ტელეკომპანიებისგან განსხვავებული, ობიექტური და დაბალანსებული საინფორმაციო სამსახური. ამ თვალსზრისით მნიშვნელოვანია, როგორც მრჩეველთა საბჭომ ისე ტელევიზიის მენეჯმენტმა მაქსიმალურად უზრუნველყოს სარედაქციო დამოუკიდებლობა და გამოხატვის თავისუფლება. კრიტიკული, საზოგადოებრივ პრობლემებზე ორიენტირებული საინფორმაციო სამსახური საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობის უმთავრესი საფუძველია.

საინფორმაციო სამსახურის პარალელურად მნიშვნელოვანია შემოქმედებითი მიმართულებების გააქტიურება, რაც მოგვცემს შესაძლებლობას შეიქმნას თემატურდ მრავალფეროვანი პროგრამული ბადე, მომზადდეს გადაცემები, დოკუმენტური ფილმები, რომლებიც კომპლექსურად ასხავს ქვეყნის მნიშვნელოვან ისტორიულ წრსულს და თანამედროვე გამოწვევებს.

საზოგადოებრივი . მაუწყებლის ბორდი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ყოველგვარი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი. მრჩეველთა საბჭოს წევრების უმთავრესი ამოცანა პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრაა, რც აუცილებლად უნდა ემყარებოდეს პერმანენტულ კვლევებს. მრჩეველთა საბჭომ თავისი კომპეტენციის ფაარგლებში უნდ უზრუნველყოს საზოგადოებასთან შეხვედრები, როგორც ცენტრალურ ქალაქებში, ისე რაიონულ დონეზე. აუცილებელი გვექონდეს ზუსტი წარმოდგენა ჩვენი მოსახლეობის შესახებ, პრიორიტეტების განსაზღვრისას მაქსიმალურაად ვუზრუნველყოთ საზოგადოებრივი აზრის გთვალისწინება.

მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო ფენებში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მაუწყებლის პოპულარობა. უნდა საბოლოოდ დასრულდეს ჩვენი მაუწყებლის ასოცირება საბჭოთა და შემდგომ, სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებელთან. აუცილებელია ეთერში გადიოდეს დინამიკური, თანამედროვე სამაუწყებლო სტანდარტებით და ტექნოლოგიებით შექმნილი პროდუქცია. ეს შესაძლებელია როგორც შიდა, ისე გარე რესურსით. წარმოების თუნდაც ნაწილობრივ

გარეთ გატანა - (შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით) - და დივერსიფიცირება ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი პროფესიონალური სტუდიების განვითარებას და სხვა მაუწყებლებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

მაუწყებლის მენეჯმენტი უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესების ასახვას და გათვალისწინებას გადაცემებში. ასევე უნდა უზრუნველყოფდეს საქართველოს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების /ეთნიკური, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა/ წარმომადგენელთა ინტერესების გათვალისწინებას. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები რეგულარულად აკრიტიკებდნენ რიგი საკითხების გამო. მოსახლეობის ნდობა მაუწყებლის მიმართ საკმაოდ დაბალია ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

იმისთვის, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიბრუნოს ნდობა, ამაღლდეს გადაცემების რეიტინგი და ხარისხიანად შეასრულოს კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულება აუცილებელია ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. ზემოთღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საჭიროა სწორი სტრატეგიის შემუშავება, საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებზე მორგებული პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა და მისი შემდგომ შესრულებაზე კონტროლი. არხის მიერ დამზადებული და ეთერში გადაცემული პროდუქცია უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ჟანრისა და ხასითვის გადაცემების ერთობლიობას. მასში თანაბარი ადგილი უნდა დაეთმოს როგორც ახალ ამბებს, ასევე შემეცნებით-გასართობ და საბავშვო-საყმაწვილო გადაცემებს. გადაცემებში სასურველია აისახოს საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, უფლებების დაცვის, კულტურისა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესები. მთლიანობაში ტელევიზიის პროგრამული ბადე უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ პროცესებზე მონიტორინგს, კონტროლს და მოქალაქეთათვის მათთვის სიანტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც საინფორმაციო ასევე შემეცნებით-გასართობ პროგრამებში..შესაბამისი პრიორიტეტებით უნდა მოხდეს საზოგადოებრივი რადიოს ფუნქციონირებაც.